



კავკასიის უნივერსიტეტი კავკასიის სამართლის სკოლა

სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	ასოციირების შეთანხმება, კანონშემოქმედება და სამართლებრივი აპროქსიმაცია
	<input checked="" type="checkbox"/> სავალდებულო
ECTS	5 ECTS კრედიტი
სწავლის საფეხური	<input type="checkbox"/> ბაკალავრიატი <input checked="" type="checkbox"/> მაგისტრატურა <input type="checkbox"/> დოქტორანტურა
სწავლების სემესტრი	II სემესტრი

ლექტორი:	ეკატერინე ქარდავა, მოდულის კოორდინატორი, ჟან მონეს პროფესორი, სამართლის დოქტორი
----------	---

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1. ევროკავშირის ზოგადი მიმოხილვა; ევროკავშირი-საქართველოს სამართლებრივი ურთიერთობების დინამიკა

ევროკავშირი, როგორც უნიკალური საერთაშორისო სუბიექტი; ევროკავშირის არსი, მიზნები, ფასეულობები, კოპენჰაგენის კრიტერიუმები. ევროპული ასოციირების პროცესი საქართველოში. ევროკავშირის დაფუძნებისა და გაფართოებების ისტორია.

ლექცია 2. ასოციირების შეთანხმების ადგილი ეროვნულ სამართალში და ასოციირების შეთანხმება, როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანულ კანონის თანახმად, ასოციირების შეთანხმების ადგილი ეროვნულ სამართალში.

ლექცია 3: ევროკავშირის სამართლის სისტემა და მასში ასოციირების შეთანხმების ადგილი

ევროკავშირის სამართლის ზოგადი დახასიათება. ევროკავშირის სამართალი სისტემა, წყაროები, იერარქია, პირველადი კანონმდებლობა; მეორეული სამართალი - დირექტივები, რეგლამენტები, გადაწყვეტილებები (სავალდებულო, მხოჭავი), რეკომენდაციები, (არასავალდებულო);

ევროკავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებები;

საქართველოს მხრიდან ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მეთოდები: თარგმანი, copy-paste, ადაპტირება, მიზნებთან შესაბამისობა...

ლექცია 4: ასოციირების შეთანხმების სტრუქტურა, ნიშნები, ზოგადი დებულებები

ასოციირების შეთანხმების სისტემა, აგებულება და სტრუქტურა. 8 კარი, 34 დანართი, 4 ოქმი; მხარეთა სიმრავლე (დაკავშირებული ევროკავშირის კომპეტენციებთან; ევროკავშირის კომპეტენციები - ექსკლუზიური, გაზიარებული, მხარდამჭერი; პროპორციულობისა და სუბსიდიარობის პრინციპები);

ასოციირების შეთანხმების სტრუქტურის დიზაინი (დაკავშირებული კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან);

ძალაში შესვლისა და დროებითი გამოყენების ასპექტები; ვალდებულებათა ამოქმედების ვადები AA-ის 431-ე მუხლსა და ნოტიფიკაციის ტექსტში;

ტერიტორიული გამოყენების პრინციპი.

ასოცირების შეთანხმების დანართების დანიშნულება

ლექცია 5: სამართლებრივი აპროქსიმაციის ცნება

განსხვავება ჰარმონიზაციასა და აპროქსიმაციას შორის ევროკავშირის სამართალში; აპროქსიმაცია და არა ჰარმონიზაცია საქართველოსთვის; დინამიური აპროქსიმაცია, ეტაპობრივი აპროქსიმაცია, აპროქსიმაციის მონიტორინგი. აპროქსიმაციის სტადიები. მაგალითები საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ამოცდილებიდან.

ლექცია 6: ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების ზეგავლენა საქართველოს სამართლის ფორმირებაზე

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ზოგადი დახასიათება, გადაწყვეტილებების ტიპაჟები, განმარტების პრაქტიკა, მოქმედების იურისდიქცია. ასოცირების შეთანხმების ნორმათა განმარტება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა მოქმედების თაობაზე. კონკრეტული მაგალითების განხილვა.

ლექცია 7: სამართლებრივი აპროქსიმაციის მეთოდი - შესაბამისობის ცხრილი

ახალი კანონშემოქმედებითი ტექნიკა. ახალი განმარტებითი ბარათი. შესაბამისობის ცხრილები (ორი შესაბამისობის ცხრილი). 1. მოთხოვნები ასოცირების შეთანხმებაში. 2. შესაბამისობის ცხრილის მოთხოვნები „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. ცხრილის შევსების პრაქტიკა.

ლექცია 8: მდგრადი განვითარების ცნება AA/DCFTA-ში და მისი ზეგავლენა სამართლის ფორმირებაში

DCFTA-ის IV კარის მე-13 თავი. სავაჭრო, შრომითი და გარემოსდაცვითი მიზნების კორელაცია და თანაბარმნიშვნელობა; ღირსეული შრომის დანიშნულება მდგრად განვითარებასა და ეკონომიკურ პროგრესში; საინვესტიციო პოლიტიკა საერთშორისო ვაჭრობის განვითარების კონტექსტში. გარემოსდაცვითი ასპექტები საინვესტიციო პოლიტიკაში; ვაჭრობის, შრომის, გარემოს დაცვის პოლიტიკების ბალანსირება და ურთიერთთანხვედრა/ურთიერთდაუზიანებლობა.

DCFTA-ის მნიშვნელობა საქართველოსთვის.

ლექცია 9: თავისუფალი ვაჭრობის არსი და საქონლის გადაადგილების თავისუფლება

იმპორტ-ექსპორტის პოლიტიკა DCFTA-ში; თავისუფალი გადაადგილების ცნება ევროკავშირის შიდა ბაზარზე და ასოცირების შეთანხმებაში; ევროკავშირის მართლმსაჯულების პრეცედენტული გადაწყვეტილებები საქონლის გადაადგილების თავისუფლებაში. "წარმოშობილია საქართველოში" - განმარტება.

ლექცია 10: კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა

ევროკავშირის კონკურენციის მიზნები და რეგულირება ევროკავშირის სამართალში. კონკურენციის მოწესრიგების პოლიტიკა ასოცირების შეთანხმებაში. კონკურენციის სამართლის განვითარების მნიშვნელობა და ზეგავლენა კეთილდღეობაზე, წარმოებაზე, ბიზნესზე, მომხმარებელზე. ასოცირების შეთანხმებით რეგულირებული კონკურენციის პოლიტიკის სტანდარტები.

ლექცია 11: სამართლებრივი აპროქსიმაციის შტრიხები სპეციფიკურ დარგებში

კანონშემოქმედება და სამართლებრივი აპროქსიმაცია ფიტოსანიტარიისა და სანიტარიის სფეროში, შრომის სამართლის სფეროში, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში; გარემოს დაცვის სფეროში; ენერგეტიკის სფეროში; განათლების სფეროში;

ლექცია 12: დიალოგის ფორმატები ასოცირების შეთანხმებაში; კოორდინაციის სისტემა საქართველოში; სამართლებრივი აპროქსიმაციის ადმინისტრირება კანონშემოქმედებით საქმიანობაში

ევროკავშირი-საქართველოს ერთობლივი ორგანოები და მათი როლი ასოცირების შეთანხმების შესრულებაში; ევროპული სტრუქტურები საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში. სპეციალური სამსახურები და მათი ძალაუფლება სამინისტროებში; სამართლებრივი აპროქსიმაციის კოორდინაციის სისტემა; მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობა; პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა. ასოცირების შესრულების იმპლიმენტაციის ძირითადი პასუხისმგებელი - მთავრობა; სამართლებრივი აპროქსიმაციის სტრატეგიული და კონცეფციური პოლიტიკის ბუნება.

პრაქტიკული მაგალითების განხილვა. კომპლექსური შეჯამება სასწავლო კურსისა. ასოცირების შეთანხმებაში ვალდებულებათა მოძიების უნარის დემონსტრირება (ჯგუფური მუშაობა).

ლექცია 13: შეჯამება, სტუდენტთა თემატური პრეზენტაციები და დისკუსია.

მეთოდი/აქტივობები და შეფასების ფორმები

სულ არის 13 შეხვედრა, თითოეული 2 საათიანი. ამდენად, აქტიური სასწავლო კურსი შედგება 26 საათისგან.

კურსი მოიცავს დამოუკიდებელ მუშაობასაც, 2 გამოცდას (შუალედური, ფინალური), სასემინარო მუშაობებს.

გამოიყენება წერიტი გამოკითხვა, ზეპირი დისკუსია, ქვისების განხილვა და ჯგუფური მუშაობა.